



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამისათვის:
მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო
საგანმანათლებლო პროგრამა
(ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა)

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი
30.06.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205233022
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ისტორია-გეოგრაფია- მოქალაქეობა) Integrated Undergraduate-Graduate Teacher Training Program (History-Geography- Citizenship)
უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების მეორე საფეხური, მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	განათლების მაგისტრი (საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი ისტორიაში, გეოგრაფიასა და მოქალაქეობაში) Master of Education (Secondary Education Teacher of History- Geography-Citizenship)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით, 0114
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი ისტორიაში, გეოგრაფიასა და მოქალაქეობაში
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	300

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
---	-------

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნოდარ ფოფორაძე - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეიმურაზ პაპასქირი - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან თოდაძე - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიკო შარაბიძე - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის აკადემიური პერსონალის გადაწყვეტილებით დაიგეგმა ახალი *მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა)* შემუშავება (შემდგომში პროგრამა), რის საფუძველსაც იძლეოდა უწინარეს ყოვლისა უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გამოცდილება (მათ შორის მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა), ამას გარდა ადგილობრივი აკადემიური პერსონალის დარგობრივი კვალიფიკაცია და მოწვეული აკადემიური პერსონალის სფეროში მოღვაწეობის ხანგრძლივი და ნაყოფიერი პრაქტიკული გამოცდილება; ამავე დროს ქვეყნის ფარგლებში არსებული სასკოლო განათლების წინაშე არსებული უახლესი გამოწვევები და დასაქმების ბაზარზე არსებული რეალური ვითარება. პროგრამის მომზადებას ბიძგი მისცა უსდ-ში მოქმედმა წარმატებულმა მასწავლებელთა 60-კრედიტიანმა პროგრამამ, მზადდებოდა ხანგრძლივი პერიოდი და გაიარე სხვადასხვა ეტაპზე, როგორც შიდა ისე გარე ხარისხის შეფასების კონკრეტული საფეხურები, კერძოდ, პროგრამის პროექტი:

- შეფასდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, მათ მიერ დაფიქსირდა რეკომენდაციები, რაც ეტაპობრივად აისახა პროგრამაში;
- პირველ ეტაპზე განხილულ იქნა თემატურად ახლო მდგომი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა კვლევების (გამოკითხვების) შედეგები, ხოლო შემდეგ მათი მოსაზრება პროგრამის პროექტთან დაკავშირებით;
- კვლევებში ჩართული იყვნენ ასევე მასწავლებლის 60 კრედიტიანი პროგრამის კურსდამთავრებულები, რომელთაც ამ ეტაპზე პრაქტიკული გამოცდილება დაუგროვდათ დასაქმების ადგილზე;

- მნიშვნელოვანი იყო კომინიკაცია დამსაქმებლებთან (მათი გარკვეული ნაწილი რეგიონების ისეთი სასწავლო დაწესებულება, სადაც ახალგაზრდა და ინოვაციური სწავლების მეთოდების მცოდნე კადრების ნაკლებობაა.) თითქმის მთლიანი ქვეყნის მასშტაბით, რაც მოიცავდა არაერთ რეგიონს. მათი გამოკითხვების ანალიზმა პროგრამის განმახორციელებლებს დაანახა მათ მიერ შერჩეული პროექტის მართებულობა.

პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი ისტორიაში, გეოგრაფიასა და მოქალაქეობაში და მიაღწიოს ეს ინტერდისციპლინურ რაკურსში.

საგანმანათლებლო პროგრამამ სტუდენტს უნდა მისცეს დარგისა და სწავლების მეთოდების ღრმა და სისტემური ცოდნა, შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება და სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო კომპეტენციები, რომელიც მიღებული განათლების საფუძველზე შეძლებს ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების (ისტორია/გეოგრაფია/მოქალაქეობა) სწავლებას, საკუთარი საქმიანობის მაღალი პროფესიული და ეთიკური პასუხისმგებლობით წარმართვას; საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამისობაშია და ასახავს იმ ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობას, რაც განსაზღვრულია ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მე-7 დონის აღმწერით და მოცემულია სწავლების სფეროს კლასიფიკატორის შესაბამის სფეროში. პროგრამის ხანგრძლივობა 5 წელია და ითვალისწინებს 300 კრედიტის ათვისებას (მათ შორის პრაქტიკული კვლევა, სასკოლო პრაქტიკა და სამაგისტრო ნაშრომი).

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 07/04/2021 MES 7 21 0000336269 ბრძანების საფუძველზე მიმდინარე წლის 11 მაისს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: ნინო ქიმერიძე (თავმჯდომარე), ნოდარ ფოფორაძე (წევრი), თეიმურაზ პაპასქირი (წევრი), ქეთევან თოდაძე (წევრი), სოფიკო შარაბიძე (წევრი) განახორციელა შეხვედრა ელექტრონული საკომუნიკაციო პლატფორმის zoom-ის მეშვეობით. ასევე ელექტრონული პლატფორმით შედგა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სამართლის სკოლაში საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული პროგრამის (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა) აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

შეხვედრა შედგა დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. მიმდინარე წლის 13 მაისს ექსპერტთა ჯგუფი (ელექტრონული პორტალის მეშვეობით) შეხვდა: უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, დაწესებულების და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს. შეხვედრის დროს განხილულ იქნა საბაკალავრო პროგრამის მიზნები, შედეგები და მათი განხორციელების გზები, სწავლის შედეგები, ზოგადი და დარგობრივი საგნების თანაფარდობა კრედიტმოცულობის განაწილებით და შეფასების კრიტერიუმები, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განხორციელების გზები, განვითარების პერსპექტივები, სწავლების რესურსებით უზრუნველყოფის შესაძლებლობები, სწავლის ხარისხის და შედეგების კონტროლის მექანიზმები. მატერიალურ ტექნიკური რესურსები (ვირტუალურად, 3D ვიდეო მასალების საფუძველზე): ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი გახდა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სალექციო სივრცეები, კომპიუტერული კლასები,

პერსონალის სამუშაო სივრცეები. დღის ბოლოს დაწესებულების წარმომადგენლებს ჯგუფმა გააცნო ძირითადი მიზნები.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- სტანდარტი 1 შესაბამისობაშია
- სტანდარტი 2 მეტწილად შესაბამისობაშია
- სტანდარტი 3 შესაბამისობაშია
- სტანდარტი 4 შესაბამისობაშია
- სტანდარტი 5 შესაბამისობაშია

▪ **რეკომენდაციები**

- ✓ პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს პროგრამის ყველა მიზანი. კონკრეტულად, დაფიქსირდეს პროგრამის სწავლის შედეგებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შედეგი;
- ✓ დაზუსტდეს სწავლის შედეგების ფორმულირება პროგრამის მიზნების შესაბამისად;
- ✓ დაკორექტირდეს სასწავლო კურსების სილაბუსების სწავლის შედეგები სტანდარტების ახალი მოთხოვნების შესაბამისად;
- ✓ პროგრამის სტრუქტურა დასახვეწია: სავალდებულო საგნების ცხრილი დასაყოფია მოდულების და სემესტრების (გაზაფხული/შემოდგომა) მიხედვით; ასევე მნიშვნელოვანია ცალკეული სასწავლო კურსის კრედიტმოცულობის შესაბამისი საათობრივი მონაცემების განაწილება დამოუკიდებელ და სააუდიტორიო წილების შესაბამისად; წინაპირობებისა და საგნების დასახელების ველები გადასანაცვლებელია;
- ✓ მას შემდეგ რაც დაკორექტირდება პროგრამის სტრუქტურა, მიეთითოს სასწავლო კურსების სტატუსი სასწავლო კურსების სილაბუსებშიც;
- ✓ ცალკეული სასწავლო კურსები საჭიროებს ლიტერატურის გადახალისებას: შუა საუკუნეების ისტორია – სავალდებულო საგნების ჩამონათვალს დამატოს ბოლო პერიოდში გამოსული შესაბამისი ლიტერატურა, კერძოდ, „დასავლეთ ევროპის ისტორია (XVI საუკუნე)“ (რედ. მ. პაპაშვილი);
- ✓ დაკორექტირდეს ინგლისური ენის სასწავლო კურსების მიზნები და შედეგები;
- ✓ დაიხვეწოს საგანმანათლებლო პროგრამის წარსადგენი დოკუმენტების (პროგრამის სასწავლო გეგმის, სილაბუსი) ფორმალური მხარე (მათში გაიწეროს ყველა მნიშვნელოვანი რუბრიკა) და პორტფოლიო;

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ✓ უმჯობესია, თუ სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან კავშირი ცხრილის ან რამე სხვა თვალსაჩინო სახით იქნება წარმოდგენილი;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამაში შეთავაზებულ იქნას ინგლისური ენის დარგობრივი კურსი;
- ✓ სასურველია სილაბუსებში აქტიურად იქნეს გამოყენებული თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, როგორც დამხმარე მასალა. ეს, ერთი მხრივ, სრულ თანხვედრაშია ინგლისურის სწავლების გამლიერებასთან უნივერსიტეტში და, ამავე დროს, უბიძგებს სტუდენტებს, გაეცნონ და გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა გეოგრაფიასა და მსოფლიო ისტორიაში. ეს ყოველივე განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია გეოგრაფიაში, რადგან არ არსებობს უახლესი საერთაშორისო სახელმძღვანელოების ქართულენოვანი თარგმანები;

- ✓ სასურველია, მეთოდების ჩამონათვალს სილაბუსებში დაემატოს ელექტრონული სწავლება, რომელსაც უსდ ისედაც იყენებს.
 - ✓ სასურველია სტუდენტებისთვის სასწავლო კურსების ფარგლებში აკადემიური პერსონალის მრიდან გაეწიოს დარგობრივი კონსულტაციები, რაც აისახება ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსში;
 - ✓ სასურველია, გაიზარდოს გაცვლით პროგრამების რაოდენობა; მოხდეს სტუდენტების აქტიური ჩართვა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში (ხელი შეეწყოს სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებას და მათ შემდგომ ჩართულობას პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ინტერნაციონალიზაციის პროცესებში).
 - ✓ სასურველია გაძლიერდეს სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობები;
 - ✓ მომავალში გასათვალისწინებელია აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსის დაცვა, კერძოდ, წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასურველია დაემატოს აკადემიური პერსონალი *გეოგრაფიის მიმართულებით*;
 - ✓ სასურველია მხარდაჭერის გაფართოება ინტერნაციონალიზაციის საკითხებში აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, კერძოდ, მათი საერთაშორისო ჩართულობის კუთხით როგორც სწავლა-სწავლების, ისე კვლევის კომპონენტში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და აქტუალურ კვლევებში ჩართვის მიზნით;
 - ✓ პერსონალის ტრენინგების რაოდენობის გაზრდა მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;
 - ✓ სასურველია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები გაზიარებული იყოს ინსტიტუციურ დონეზე პერმანენტულად და დეტალურად, რისთვისაც გამოყენებული იქნება ინტერაქციული ვორკშოპები, ტრენინგები და ა.შ.
 - ✓ სასურველია, თუ შემდგომში ინსტიტუცია იზრუნებს საგანმანათლებლო პროგრამის გარე კოლეგიურ შეფასებაზე.
 - ✓ ხარისხის მონიტორინგის მექანიზმის გაუმჯობესება, სტუდენტების მიერ ელექტრონული კითხვარების მეშვეობით სასწავლო კურსებისა და პედაგოგების შეფასება (სასურველია სტუდენტებისათვის სავალდებულო გახდეს შესაფასებლად წარდგენილი თითოეული სასწავლო კურსისა და ლექტორის სასწავლო საქმიანობის შეფასების კითხვარის შევსება);
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
 - ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა) მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული. პროგრამის მიზნებში წერია, რომ პროგრამა მოამზადებს განათლების მაგისტრებს (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი), რომელთაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა, შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება და სამეცნიერო კვლევისათვის საჭირო კომპეტენციები.

რადგანაც პროგრამა ამზადებს მასწავლებელს, პროგრამის მიზნები მის პოტენციურ მოსწავლეებზე ორიენტირებულად არის წარმოდგენილი. გარდა იმისა, რომ პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება პროგრამის მიზნებით გათვალისწინებული საგნების სწავლება და ექნება შესაბამისი უნარები, მას აგრეთვე შეეძლება, რომ საკუთარ მოსწავლეებს გამოუმუშაოს საგნის სპეციფიკასთან დაკავშირებით კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარები, აუმაღლოს სწავლის მოტივაცია და ხელი შეუწყოს სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბებაში.

თვითშეფასების ანგარიშში პროგრამის მიზნებს დამატებული აქვს განმარტება, რომ პროგრამის მიზანია, ჩამოაყალიბოს მკვლევარი, რომელსაც ექნება ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობის დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა და შეეძლება დარგის საკვანძო საკითხების კვლევა და ახლებური ინტერპრეტაცია.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რომლის თანახმადაც უნივერსიტეტმა უნდა მოამზადოს შრომით ბაზარზე მოთხოვნადი მაღალი დონის სპეციალისტები. უნივერსიტეტმა ჩაატარა შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევა აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომ განესაზღვრათ, რა თვისებებს და უნარებს მიიჩნევენ დამსაქმებლები ყველაზე მნიშვნელოვნად. კვლევაში მონაწილე დამსაქმებლები, რომელთა უმეტესობა საჯარო სკოლებია, იმასაც განსაზღვრავდნენ, რომელი უნარების დეფიციტი შეინიშნება მათ უკვე არსებულ კადრებში. აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის მიზნებში გათვალისწინებულია დამსაქმებლებისთვის სასურველი ცოდნა და უნარები. როგორც სწავლის მიზნებიდან ჩანს, პროგრამა შეეცდება, უპასუხოს შრომის ბაზარზე არსებულ გამოწვევას და შეავსოს ტრანსფერული უნარების ის დეფიციტი, რომელიც კვლევის შედეგად გამოავლინეს.

შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ერთად, პროგრამა ითვალისწინებს დარგის განვითარების, სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს. საქართველოს თანამედროვეობაში ამ პროგრამის კურსდამთავრებული ძალიან საჭირო კადრი იქნება სკოლებისთვის, რადგან ერთდროულად სამი საგნის სწავლების კომპეტენციას ფლობს. ამას გარდა, როგორც პროგრამაშია აღნიშნული, კურსდამთავრებულებს შეეძლება სამეცნიერო კვლევების ჩატარება და დარგის განვითარებაში წვლილის შეტანა.

პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია. ის განთავსებულია საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

პროგრამაში ჩართული პირები იზიარებენ მის მიზნებსა და ამოცანებს. როგორც ინტერვიუებიდან გამოჩნდა, პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად იყო ჩართული პროგრამის შემუშავების პროცესში და ყველა მათგანს კარგად აქვს გაცნობიერებული პროგრამის მიზნები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა) (*დანართი 01*);
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მისია;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი <https://sangu.edu.ge/>;
- საგანმანათლებლო პროგრამის ანონსი, განთავსებული უნივერსიტეტის ვებგვერდზე: <https://sangu.edu.ge/ka/program/50>;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების გაანალიზების მიზნით ჩატარებული კვლევა (*დანართი 07*);
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუ.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა) აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული 10 სწავლის შედეგი. თუმცა პროგრამის სწავლის შედეგებში არ იკითხება პასუხიმგებლობისა და ავტონომიურობის რუბრიკა, რაც აუცილებელი და მნიშვნელოვანი შედეგია დარგის სპეციალისტისთვის. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნასა და უნარებს, რაც ექნება პროგრამის კურსდამთავრებულს. სწავლის შედეგები მისანიჭებელი კვალიფიკაციის და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი დადგენილი კვალიფიკაციის შესაბამისი დონის აღმწერის იდენტურია, გასაგებადაა ფორმულირებული, მიღწევადი და გაზომვადია.

როგორც ინტერვიუებიდან ირკვევა, პროგრამის როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი ძალიან აქტიურად იყო ჩართული პროგრამის შემუშავების პროცესში. მათი ურთიერთთანამშრომლობით განისაზღვრა პროგრამის სწავლის შედეგები და მათ აქვთ კარგად გააზრებული ერთიანი ხედვა.

სწავლის შედეგები ეფუძნება უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევას, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულია შესაბამისი სფეროს დამსაქმებლების ინტერესები. დამსაქმებლების გამოკითხვაში ორი ძირითადი საკვლევი კითხვა იყო: ა) რა ცოდნა და უნარებია მნიშვნელოვანი დამსაქმებლისთვის და ბ) ამათგან რა უნარების დეფიციტს ამჩნევენ ისინი არსებულ კადრებს. ორივე ამ კითხვის პასუხები გათვალისწინებული და ასახულია პროგრამის სწავლის შედეგებში.

პროგრამის სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან კავშირი არ არის ცხრილის ან რამე სხვა თვალსაჩინო სახით წარმოდგენილი, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში კარგად ჩანს ლოგიკური კავშირები. თუმცა, არის შემთხვევები, როცა კავშირი შეიძლება მთლად ზუსტი არ იყოს. მაგალითად: პროგრამის მიზანია, სტუდენტს შეემლოს მოსწავლესთან/მშობელთან/კოლეგასთან ეფექტური კომუნიკაცია, მის შესაბამის სწავლის შედეგში კი წერია: „მსჯელობს მოსწავლესთან/მშობელთან/კოლეგასთან ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობაზე“. კომუნიკაცია და კომუნიკაციის მნიშვნელობაზე მსჯელობა უნარების სხვადასხვა კატეგორიაა. პროგრამის ერთ-ერთი მიზანია: „ხელი შეუწყოს მოსწავლის პატრიოტ, ჰუმანურ, თავისუფალ პიროვნებად და საზოგადოების სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბებაში.“ ეს ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო მიზანია, მაგრამ პროგრამის სწავლის შედეგებში არაა ასახული.

სასურველია, სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან კავშირი პროგრამაში კურიკულუმის რუკის სახით იყოს წარმოდგენილი, რომელშიც განმარტებული იქნებოდა სწავლის შედეგის მიღწევის დონეც (გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება).

პროგრამაში წარმოდგენილია სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც ნათლად ჩანს, რომელი სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს თითოეული სავალდებულო სასწავლო კურსი.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების და განვითარების წესის“ თანახმად. თითოეული სწავლის შედეგი ფასდება. პროგრამის აღწერაში სწავლის თითოეული შედეგის შეფასებისთვის გაკეთებულია ცხრილი, რომელშიც ნათლად ჩანს, პროგრამის თითოეული კომპონენტის შეფასების ფორმები და მეთოდები, რომლებიც უკავშირდება მოცემული შედეგის მიღწევას. ასევე დეტალურადაა მოცემული სწავლის შედეგის შეფასების პროცესის აღწერა და სამიზნე ნიშნულები. სამიზნე ნიშნულები ერთგვაროვანია ყველა სწავლის შედეგისთვის: „სტუდენტების 100%-ის შემთხვევაში დასტურდება სწავლის შედეგებზე გასვლა. მათ შორის, სტუდენტთა საშუალოდ 15% აჩვენებს ძალიან მაღალ შედეგს.“ ასეთი ცხრილები შედგენილია სწავლის ათივე

შედეგისთვის და თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების ორგანიზებული სისტემა.

პროგრამის განმახორციელებელი პირები იცნობენ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. სწავლის შედეგის შეფასების პროცესის ეტაპები ძალიან დეტალურადაა აღწერილი პროგრამაში. როგორც ინტერვიუებიდან გამოირკვა, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები გააცნეს პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. ინტერვიუს დროსაც დადასტურდა, რომ პროგრამაში ჩართულ ადამიანებთან ტარდებოდა შეხვედრები სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების გაცნობის მიზნით.

თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგებზე მომუშავე ჯგუფში ჩართული იყო როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი. ინტერვიუების დროსაც აღინიშნა, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყო განახლებული აკრედიტაციის სტანდარტების გაცნობა პერსონალისთვის და სწავლის შედეგების შედგენის პროცესში მათი ჩართულობა.

სტუდენტები პროგრამის გაცნობისთანავე მიიღებენ ინფორმაციას პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ და ამ შედეგების მიღწევის შეფასების ფორმებისა და მეთოდების შესახებ, რაც დაწვრილებითაა აღწერილი პროგრამაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა) (*დანართი 01*);
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების და განვითარების წესი (*დანართი 04*);
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების გაანალიზების მიზნით ჩატარებული კვლევა (*დანართი 07*);
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუ.

რეკომენდაციები:

- პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს პროგრამის ყველა მიზანი. კონკრეტულად, დაფიქსირდეს პროგრამის სწავლის შედეგებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შედეგი;
- დაზუსტდეს სწავლის შედეგების ფორმულირება პროგრამის მიზნების შესაბამისად;
- დაკორექტირდეს სასწავლო კურსების სილაბუსების სწავლის შედეგები სტანდარტების ახალი მოთხოვნების შესაბამისად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უმჯობესია, თუ სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან კავშირი ცხრილის ან რამე სხვა თვალსაჩინო სახით იქნება წარმოდგენილი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. გარდა ამისა, პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების („უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“), ან მობილობის წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია შიდა მობილობის განხორციელებაც უსდ-ს მიერ დადგენილი რეგულაციების მიხედვით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა. ვინაიდან პროგრამა არის ახალი და აკრედიტაცია ჯერ არ გაუვლია, მასზე დაშვების წინაპირობები ვებგვერდზე განთავსებული არ არის და იქ მოცემულია მხოლოდ პროგრამის მოკლე აღწერილობა.</p>
მტკიცებულებები/ინდიკატორები

<ul style="list-style-type: none"> ○ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა (<i>დანართი 01</i>); ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი (http://dl.sangu.edu.ge/pdf/istoria300krediti.pdf).
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა) შედგენილია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (ჩარიცხვის წესი) და სწავლის შედეგები. განათლების მაგისტრის ხარისხის მისაღებად პროგრამის კურსდამთავრებულმა უნდა დააგროვოს 300 კრედიტი. აქედან 120 კრედიტი ეთმობა მასწავლებლის მომზადების მოდულს, 60 კრედიტი – ისტორიის მოდულს, 54 კრედიტი – გეოგრაფიის მოდულს, 36 კრედიტი – მოქალაქეობის მოდულს, 30 კრედიტი – ინგლისურ ენას. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს უკვე გააჩნია ინგლისური ენის B² დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან არ დასჭირდება 30 კრედიტი ამ დონის მისაღწევად (განისაზღვრება ტესტირებით პროგრამაზე ჩაბარების შემდეგ.) მას შეუძლია გამოთავისუფლებული კრედიტები შეივსოს სასურველი არჩევითი საგნებით შესაბამისი ბლოკებიდან. პროგრამაში გათვალისწინებულია პრაქტიკული კომპონენტი 18 კრედიტის ოდენობით, რომელიც თანაბრად – 6-6 კრედიტი – იყოფა ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის სასკოლო პრაქტიკებად. სამაგისტრო ნაშრომისთვის განკუთვნილია 18 კრედიტი და მასზე დარეგისტრირების წინაპირობას წარმოადგენს მინიმუმ 168 კრედიტის შესრულება. პროგრამა სტრუქტურირებულია, თუმცა აღნიშნულ სტრუქტურაში გარკვევა არც ისე</p>
--

მარტივია. სავალდებულო საგნები მოცემულია ერთად და არ არის დაყოფილი არც მოდულების და არც სემესტრების მიხედვით. შესაბამისად, შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რა თანმიმდევრობით ხდება სავალდებულო საგნების გავლა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მათ არ გააჩნიათ წინაპირობა. ცხრილი არ არის დანომრილი და მისი პირველი ველია წინაპირობა, და არა საკუთრივ საგნის დასახელება, რომელიც მოცემულია მეორე ველში. ეს კიდევ უფრო ართულებს ცხრილში ორიენტირებას. შესაბამისად, საჭიროა ცხრილის სავალდებულო ნაწილის მოწესრიგება. განსხვავებით სავალდებულო საგნების ნაწილისაგან, არჩევითი საგნების ბლოკები მოცემულია მოდულების მიხედვით და მათში გარკვევა პრობლემას არ წარმოადგენს, თუმცა პროგრამიდან არ ჩანს, რომელ სემესტრებში აქვს სტუდენტს არჩევითი საგნების აღების უფლება. სავარაუდოდ, ცხრილის სავალდებულო ნაწილის გამართვა ავტომატურად მოაწესრიგებს ამ საკითხს.

პროგრამის დოკუმენტაციის გაცნობის შემდგომ აკადემიურ პერსონალთან შეხვედრამ არაერთ საორჭოფო კითხვას მოჰყვინა ნათელი. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ძირეულად ჰქონდა გაცნობიერებული ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პროგრამის განმახორციელებელთა გადაწყვეტილება, რომელთაც მოწვეულ აკადემიურ პერსონალთა შორის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვა შეთავაზებული ჰქონდათ მოქმედი პრაქტიკოსებისათვის, რომელთაც ხელი მიუწვდებოდათ დარგში თანამედროვე მდგომარეობაზე, ჩართულნი არიან სისტემაში მიმდინარე განახლების პროექტებში, აქედან გამომდინარე მათ მხრიდან ცალკეულ კურსებში გათვალისწინებული იყო კვლევის სიახლეები და სფეროს მიღწევები, რაც ასევე კარგად გამოჩნდა სამაგისტრო ნაშრომების თემატიკაზე მსჯელობის დროსაც.

პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარე, განსაკუთრებით თვალში საცემი იყო მოწვეული პერსონალის გათვითცნობიერებულობა პროგრამის ცალკეულ დეტალებში და ასევე დამსაქმებელთა (რომელთა სიმრავლე და ქვეყნის მასშტაბით გეოგრაფიული მრავალფეროვნება შესამჩნევი იყო!) ინტერესი ამ ახალი საგანმანათლებლო პროგრამისადმი. მნიშვნელოვანი იყო შეხვედრა ინტერვიუ მომიჯნავე (მასწავლებლის 60-კრედიტიანი მათ შორის) პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (ვინაიდან პროგრამა ახალი იყო), რომელთაც დეტალური ინფორმაცია ჰქონდათ ახალი პროგრამის შესახებ როგორც უნივერსიტეტის ვებგვერდიდან, ისე განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მხრიდან. სტუდენტებსაც და კურსდამთავრებულთაც ჰქონდათ (განსაკუთრებით იმ კურსდამთავრებულებს, რომლებიც უკვე მასწავლებლად მუშაობდნენ) პოზიცია, რომ ახალი საგანმანათლებლო პროგრამა მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის კურსდამთავრებულს აძლევს სამი მომიჯნავე და ინტერდისციპლინურად მკვეთი დისციპლინის კომპეტენციასა და ასევე მასწავლებლად მუშაობის უფლებას, მნიშვნელოვანი იქნებოდა მათი შრომით ბაზარზე რეალიზაციისათვის;

ამ ეტაპზეც კი პროგრამის ანონსი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ამდენად მისი საჯაროობა გარანტირებულია.

მიუხედავად პროგრამის სტრუქტურის გარკვეული გაუმართაობისა, პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია – განათლებისმაგისტრი – შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა (*დანართი 01*);
- საგანმანათლებლო პროგრამის ანონსი, განთავსებული უნივერსიტეტის ვებგვერდზე: <https://sangu.edu.ge/ka/program/50>;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- პროგრამის სტრუქტურა დასახვეწია: სავალდებულო საგნების ცხრილი დასაყოფია

<p>მოდულების და სემესტრების (გაზაფხული/შემოდგომა) მიხედვით; ასევე მნიშვნელოვანია ცალკეული სასწავლო კურსის კრედიტმოცულობის შესაბამისი საათობრივი მონაცემების განაწილება დამოუკიდებელ და სააუდიტორიო წილების შესაბამისად; წინაპირობებისა და საგნების დასახელების ველები გადასანაცვლებელია;</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა) ყველა ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსის სწავლის შედეგები სრულ თანხვედრაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. სავალდებულო სასწავლო კურსების შედეგები ერთობლიობით ქმნის პროგრამის სწავლის საბოლოო შედეგებს. პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება საკუთრივ ამ კურსის სწავლის შედეგებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სილაბუსში სწავლის შედეგები მოცემულია ძველი ფორმით (მაგ., <i>პოლიტიკის მეცნიერებათა შესავალი, სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები, საერთაშორისო სამართალი</i> და სხვ.) და დაყოფილია 5 ნაწილად, უმრავლესობაში კი დაყოფა საერთოდ არ გვხვდება და მოცემულია უბრალოდ ჩამონათვალი.</p> <p>სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა ძირითადად დაფუძნებულია დარგში არსებულ აქტუალურ მიღწევებზე, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სასურველია ლიტერატურის გამდიდრება. მაგალითად, საგნის „შუა საუკუნეების ისტორია“ სილაბუსი ქრონოლოგიურად მოიცავს პერიოდს XVI საუკუნის ჩათვლით და სასურველია, რომ ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალი მითითებული იყოს 2015წელს გამოსული „დასავლეთ ევროპის ისტორია (XVI საუკუნე)“ (რედ. მ. პაპაშვილი). ასევე აქტუალური იქნება, თუ კი ცალკეულ სილაბუსებში ასევე მითითებული იქნება ინგლისურენოვანი</p>

ახალი ლიტერატურა, რათა სტუდენტები გაეცნონ დარგის სიახლეებს. ინგლისური ენის სასწავლო კურსების B¹ დონის ქვეჩაშლებში B^{1.1} B^{1.2} მიზანი იდენტურია, თუმცა ენის დონის შიდა გამყოფ ზღვარზე შესაძლებელია და მნიშვნელოვანია მიზნების დაკორექტირება, ვინაიდან სტუდენტი ზუსტად მიხვდეს, რა მიზანი აქვს სასწავლო კურსს. ასევე იდენტურია შედეგები ყველა ენობრივი კომპეტენციისთვის, იმ დროს როდესაც ეს ქვედონეები არათუ ენის სისტემურ დონეზე და თემატურად იძლევა განსხვავებულ შედეგებს, არამედ ტექსტის სახეობათა პროდუცირებისა და სოციო-კულტურული თემატიკის თვალსაზრისით. ანალოგიური მდგომარეობაა ინგლისური ენის სასწავლო კურსების B² დონის ქვეჩაშლებში B^{2.1} B^{2.2} მიზნებსა და შეფასების რუბრიკაში, რაც ცალსახად დასაკორექტირებელია.

ფაქტობრივად ზუსტად იმეორებს სწავლის შედეგებს A² დონის სილაბუსი და B² დონის ქვეჩაშლებში B^{2.1} B^{2.2}, რაც სავალდებულოა, რომ გასწორდეს, ვინაიდან A² დონის შედეგები დიამეტრალურად განსხვავდება B² დონის შედეგებისგან. ამას გარდა, სასურველია, რომ იმ ტიპის სილაბუსებში, სადაც ავტორი თარგმნის შედეგად იყენებს უცხოური ტერმინოლოგიის ქართულ ანალოგს, დაცულ იქნას ტერმინოლოგიური სიზუსტე (მაგ., უცხოური ენის შესაბამისი სილაბუსებიდან: „სტუდენტები დახვეწენ როგორც რეცეპტულ, ასევე პროდუქტიულ უნარ-ჩვევებს - კითხვა, ლაპარაკი, წერა და მოსმენა“ (ამ შემთხვევაში უდაოდ ნაგულისხმევია რეცეფციული და შესაბამისად, პროდუცირების პროცესები, ანუ ტექსტის წარმოქმნისა და გაგების პროცესი).).

საექსპერტო ჯგუფს მიაჩნია, რომ განათლების დარგში თანამედროვე კვლევების განხორციელებისა და უახლესი კვლევების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით მნიშვნელოვანია, თუ საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტებს შესთავაზებს დარგობრივი ინგლისური ენის სასწავლო კურსს, რაც დადასტურდა სხვადასხვა ინტერვიუების შედეგადაც. შესაბამისად, სერთიფიკატის მქონე სტუდენტი აირჩევს მაღალი დონის ენის კურსს ან ინგლისურის დარგობრივ კურსს, რომლის შინაარსი გადაფარავს განათლების მეცნიერების დარგში უახლესი პრობლემატიკისა და კვლევების თემებს.

მოქალაქეობის ბლოკის შინაარსი სავალდებულო და არჩევითი კურსების ერთობლიობით ფაქტობრივად ფარავს ყველა იმ ძირითად თემას და კონცეფციას, რაც ამ ბლოკისთვის ტიპობრივი და სტანდარტიზებულია. ლიტერატურა ცალკეულ თემებთან მიმართებით ახალია და ხელმისაწვდომი. სასწავლო პროცესში პრაქტიკულად ყველა სასწავლო კურსში კვირეული დატვირთვის მეტი წილი სასემინარო სამუშაოზე ნაწილდება, რაც ხელს შეუწყობს ამავედროულად ინტერაქციული სასწავლო პროცესის გააქტიურებას და სასემინარო ჯგუფის მაღალ ჩართულობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა (დანართი 01);
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგნების სილაბუსები (დანართი 01).

რეკომენდაციები:

ცალკეული კურსები, რომლებიც საჭიროებს ლიტერატურის გადახალისებას:

- მას შემდეგ რაც დაკორექტირდება პროგრამის სტრუქტურა, მიეთითოს სასწავლო კურსების სტატუსი სასწავლო კურსების სილაბუსებშიც;
- ცალკეული სასწავლო კურსები საჭიროებს ლიტერატურის გადახალისებას: შუა საუკუნეების ისტორია – სავალდებულო საგნების ჩამონათვალს დაემატოს ბოლო

<p>პერიოდში გამოსული შესაბამისი ლიტერატურა, კერძოდ, „დასავლეთ ევროპის ისტორია (XVI საუკუნე)“ (რედ. მ. პაპაშვილი);</p> <ul style="list-style-type: none"> ○ დაკორექტირდეს ინგლისური ენის სასწავლო კურსების მიზნები და შედეგები;
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სასურველია სილაბუსებში აქტიურად იქნეს გამოყენებული თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, როგორც დამხმარე მასალა. ეს ერთი მხრივ, სრულ თანხვედრაშია ინგლისურის სწავლების გაძლიერებასთან უნივერსიტეტში და ამავე დროს, უბიძგებს სტუდენტებს გაეცნონ და გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა გეოგრაფიასა და მსოფლიო ისტორიაში. ეს ყოველივე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გეოგრაფიაში, რადგან არ არსებობს უახლესი საერთაშორისო სახელმძღვანელოების ქართულენოვანი თარგმანები; ○ შეთავაზებულ იქნას საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისური ენის დარგობრივი კურსი.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა) უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. უნივერსიტეტში იმართება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, ეწყობა საჯარო ლექციები და შეხვედრები პოლიტიკურ მოღვაწეებთან და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრების შესახებ ინფორმაცია სისტემატურად ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. უნივერსიტეტში ასევე გამოიციემა სამეცნიერო შრომების კრებული, რომელშიც სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, დაბეჭდონ თავისი ნაშრომები.</p> <p>პროგრამაში სავალდებულო სტატუსი გააჩნია პრაქტიკას, რომელიც მოიცავს 18 კრედიტს – 6-6 კრედიტი სამივე საგანში. შესაბამის სილაბუსებში გაწერილია აქტივობები, რომელიც უნდა შეასრულოს სტუდენტმა. პრაქტიკის დროს სტუდენტს ჰყავს მენტორი, რომელსაც პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაცია გამოყოფს.</p> <p>პრაქტიკის ფარგლებში შესაძლებელია პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარება და ამის საფუძველზე მიღებული კონკრეტული შედეგების კვლევით</p>

პროექტში ჩართვა-გამოყენება. თვითშეფასების დანართების შესწავლის შემდგომ დადასტურდა, რომ უნივერსიტეტს მემორანდუმები აქვს გაფორმებული საჯარო და კერძო სკოლებთან (სულ დანართში N8 წარმოდგენილი იყო 35 მემორანდუმი, თანამშრომლობაზე დათანხმებულ სასწავლო დაწესებულებებს შორის არის აგრეთვე რეგიონების სკოლები!). წინამდებარე მემორანდუმში დეტალურადაა გაწერილი მხარეთა ვალდებულებები, მათ შორის, მემორანდუმის მე-2 მუხლის 1^ა პუნქტის თანახმად: *პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნები, პრაქტიკის ხანგრძლივობა (რაც გულისხმობს პრაქტიკაზე გაწერილ კვირათა რაოდენობას და კვირების მიხედვით განსახორციელებელ აქტივობებს)* წარმოდგენილია პრაქტიკის სასწავლო სილაბუსში, რომელიც ერთგვარი სახელმძღვანელო დოკუმენტია მემორანდუმის ხელმძღვანელი ორივე მხარისთვის, რაც ასევე დასტურდება ამავე მემორანდუმის მე-2 მუხლის 2^ბ პუნქტის ჩანაწერით, რომლის თანახმად: *სკოლა ვალდებულია პრაქტიკა განახორციელოს პრაქტიკის სასწავლო სილაბუსის მიხედვით.* რაც შეხება პრაქტიკაზე დაშვებული სტუდენტების რაოდენობას, მოცემული საკითხი არ ფიქტურირებს არც ერთ მემორანდუმში, თუმცა დამსაქმებლებთან და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შემდგომ გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა შემდეგი პოზიცია, რომ სტუდენტთა რაოდენობის გადანაწილება მოხდება უშუალოდ პრაქტიკის დაწყებამდე მოსამზადებელ პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაზე დაშვებულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 300-ითაა განსაზღვრული, პრაქტიკის ობიექტების რაოდენობრივი მონაცემებთან თანაფარდობის გათვალისწინებით, პრაქტიკის ობიექტებზე დაშვებულ სტუდენტთა სააღბათო რაოდენობა გამოთვლის შემდეგ შესაძლებელია იყოს 8-9 სტუდენტი. ასევე, თუ მხედველობაში მივიღებდით იმ მოცემულობას, რომ წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამა კომპეტენციას იძლევა სამ დარგში, შეიძლება დავასკვნათ, რომ პრაქტიკის ობიექტების მოცემული რაოდენობა სავსებით დააკმაყოფილებს სტუდენტთა იმ ნაკადს, ვინც პრაქტიკას გაივლიდან წინამდებარე პროგრამის ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა (*დანართი 01*);
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები (*დანართი 01*);
- მემორანდუმები და ხელშეკრულებები (*დანართი 08*);
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან..

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა) ფარგლებში საგნის ლექტორს გააჩნია აკადემიური თავისუფლება, რათა თავად განსაზღვროს სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი მეთოდები და აქტივობები. სხვადასხვა საგნებში სასწავლო და სამეცნიერო მუშაობისთვის ძირითადად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები და აქტივობები: ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა, წერითი დავალება, პრეზენტაცია, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, გონებრივი იერიში, პრაქტიკული სამუშაოები, მოდელირებულ სავარჯიშოებზე მუშაობა, სიტუაციური თამაშები და სხვ. აღნიშნული მეთოდები სტუდენტებზე ორიენტირებულია და ისინი სრულად შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს. პროგრამაში გამოყენებული სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ სილაბუსებში არ გვხვდება ელექტრონული სწავლების მეთოდი, თუმცა უნივერსიტეტში, მსოფლიოში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, სწავლება პრაქტიკულად სრულად ელექტრონულად ხდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა;
- o თვითშეფასების ანგარიში;
- o საგნების სილაბუსები;
- o ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o სასურველია, მეთოდების ჩამონათვალს სილაბუსებში დაემატოს ელექტრონული სწავლება, რომელსაც უსდ ისედაც იყენებს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა) პროგრამის ფარგლებში, სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. გარდა ამისა, ზოგადი ჩარჩო განსაზღვრულია შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციებითაც, ხოლო სასწავლო კურსების შემთხვევაში უფრო მეტად არის დაკონკრეტებული შესაბამისი სილაბუსებში.

სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტური და, ძირითადად, ერთგვაროვანი ყველა საგანში. შეფასების ფორმები ობიექტურია და უზრუნველყოფს კურსის საერთო მიზნებს და სწავლის შედეგების შეფასებას.

პროგრამის ფარგლებში როგორც სასწავლო, ასევე, კვლევითი კომპონენტის შეფასების დროს გამოიყენება იმგვარი შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმები, როგორცაა: ყოველკვირეული შეფასებები, რეფერატი ან პრეზენტაცია, წერითი თუ ზეპირი გამოცდა და სხვა.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუებით თვალსაჩინო გახდა, რომ კურსების ნაკლოვანებებისა და ცოდნის გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას იღებენ როგორც აკადემიური პერსონალისგან, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან.

სტუდენტები მუდმივად იღებენ უკუკავშირის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება ყოველკვირეულ, შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების აპელაციის მიზნით, რექტორის აქტით იქმნება სააპელაციო კომისია, რომელიც ხელმძღვანელობს რექტორის აქტით დამტკიცებული წესის შესაბამისად. წინამდებარე ჩანაწერი ფიქსირდება **სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში**, რომლის დეტალურ და პროცესუალურ აღწერას წარმოგიდგენს **საგამოცდო ინსტრუქცია**, სადაც მე-8 მუხლში დეტალურადაა აღწერილი აპელაციის პროცესი და შესაბამისი ვადები. ინტერვიუების პროცესში ინფორმაცია წინამდებარე პროცედურებზე ჰქონდა თითოეულ სტუდენტსა და ყოველ კურსდამთავრებულს, რომელთაც თავად აქვთ ნასარგებლები წინამდებარე წესით.

პრაქტიკის შეფასება:

პრაქტიკის საბოლოო შეფასება არის შუალედური შეფასების – მაქსიმუმ 60 ქულა – და დასკვნითი გამოცდის შეფასების – მაქსიმუმ 40 ქულა – ჯამს.

შუალედური შეფასების სტუდენტმა უნდა განახორციელოს პრაქტიკის გეგმით გათვალისწინებული აქტივობები და მოამზადოს და წარმოადგინოს რეფლექსიები. ერთი საგნის პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში სტუდენტი სკოლაში შესაბამისი აქტივობების განხორციელების შემდეგ ასრულებს ექვს რეფლექსიას, მათ შორის, ორ რეფლექსიას გაკვეთილის ჩატარების შემდეგ.

სტუდენტის მიერ წარმოდგენილი რეფლექსიები შემდეგნაირად ფასდება: გაკვეთილის ჩატარების შემდეგ შესრულებული რეფლექსია – 30 ქულა, დანარჩენ შემთხვევებში – 15 ქულა. რეფლექსიების ჯამური შეფასება იყოფა 2-ზე და მიიღება შუალედური შეფასება.

დასკვნითი შეფასების მიზნით სტუდენტი ამზადებს და წარმოადგენს პორტფოლიოს ელექტრონული სახით. პორტფოლიოს მეშვეობით ჯამდება პრაქტიკის განხორციელება და ფასდება მის ფარგლებში მიღწეული შედეგები.

პორტფოლიოში წარმოდგენილი უნდა იყოს სტუდენტის მიერ პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში შესრულებული რეფლექსიები, გაკვეთილის გეგმები, გაკვეთილის ჩატარების და სხვა სახის აქტივობებში მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტაცია; რეფლექსიასთან ერთად სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს სკოლის მხრიდან განხორციელებული შეფასება და სარეკომენდაციო წერილი. სტუდენტი ახდენს საკუთარი პორტფოლიოს პრეზენტაციას, რომელშიც გაანალიზებული უნდა იყოს პრაქტიკის ფარგლებში მიღწეული შედეგები.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება:

სამაგისტრო ნაშრომების შეფასებისთვის იქმნება სპეციალური დარგობრივი კომისია. კომისიის შემადგენლობას სკოლის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი. კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე 3 წევრისაგან და ჰყავდეს თავმჯდომარე და მდივანი. შეფასების კომისიის წევრი შეიძლება იყოს ქართული უნივერსიტეტის შესაბამისი მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული ან ასისტენტ პროფესორი) ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტი.

სამაგისტრო ნაშრომი საჯარო დაცვამდე წარდგენილ უნდა იქნას წინასწარი განხილვისათვის შესაბამისი სკოლის/მიმართულების სხდომაზე XIII-XIV კვირაში. წინასწარ განხილვაზე ნაშრომის წარდგენა აკინძული სახით სავალდებულო არ არის. წინასწარი განხილვისას ნაშრომის დადებითად შეფასების შემთხვევაში გამოიყოფა რეცენზენტი, რომელსაც ნაშრომი, აკინძული სახით, უნდა გადაეცეს საჯარო დაცვამდე არანაკლებ 15 დღით ადრე XVI კვირაში. რეცენზენტმა რეცენზია უნდა წარმოადგინოს და მაგისტრანტს გააცნოს დაცვამდე 5 დღით ადრე მაინც, თუმცა შეფასებას – მაქსიმუმ 60 ქულა – ის წერს მხოლოდ საჯარო დაცვის პროცედურის დასრულების შემდეგ.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება წარმოადგენს კომისიის წევრების არითმეტიკული საშუალოსა და რეცენზენტის შეფასებების ჯამს. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეაფასებს არანაკლებ 21 ქულით (მაქსიმალური შეფასება – 40 ქულა), ხოლო რეცენზენტი არანაკლებ 11 ქულით (მაქსიმალური შეფასება – 60 ქულა). სამაგისტრო ნაშრომის შეფასება აისახება სამაგისტრო ნაშრომის შეფასების უწყისში და წარმოადგენს რეცენზენტის და კომისიის შეფასებათა ჯამს. დადებითად ითვლება 51 ქულაზე არანაკლები შეფასება.

მთლიანობაში სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, ის გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა (*დანართი 01*);
- თვითშეფასების ანგარიში;
- საგნების სილაბუსები (*დანართი 01*);

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება N3 - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ მე-4 მუხ., პ.10;
- ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი-ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://sangu.edu.ge/ka/article/maregulirebeli-aktebi>;
- ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია-ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://sangu.edu.ge/ka/article/maregulirebeli-aktebi>;
- სასკოლო პრაქტიკის სილაბუსები (დანართი 01);
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია (დანართი 11).
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან;

რეკომენდაციები:
წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება
○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით ჩანს, რომ მოცემული სტანდარტის კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ინტერვიუებში მონაწილეობდნენ მომიჯნავე პროგრამების სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რომლებსაც მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა) შემუშავებაში არ მიუღიათ მონაწილეობა, შესაბამისად ინტერვიუები წარიმართა ზოგადად უნივერსიტეტში არსებული გარემოს შეფასების ფარგლებში.

მათ ჰქონდათ მინიმალური ინფორმაცია ახალი პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის შესახებ და შესაბამისად, მათი ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში საერთოდ არ დადასტურებულა.

სტუდენტები ყოველი სემესტრის დასაწყისში უნივერსიტეტის მხრიდან ინიცირებულ საინფორმაციო შეხვედრებს ესწრებიან, სადაც მათ მიეწოდებათ ყველა საჭირო ინფორმაცია სასწავლო პროგრამისა და სასწავლო პროცესის შესახებ, ასევე ისინი ფლობენ სრულ ინფორმაციას უნივერსიტეტის სერვისების შესახებ. სტუდენტებისთვის ინფორმაციის გაზიარება ხდება სხვადასხვა წყაროების მეშვეობით: უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, ელექტრონული ბაზები, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი და სხვა.

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი: სტუდენტები და კურსდამთავრებულები უნივერსიტეტში არსებული სერვისებითა და მომსახურებით, დიდ კმაყოფილებას გამოხატავდნენ. მათ ინფორმაციის მიწოდებისა და ადმინისტრაციასთან ურთიერთობის კუთხით, არანაირი პრობლემა არ აქვთ, ასევე უნივერსიტეტში მოქმედებს ონლაინ პლატფორმა UMS.SANGU.EDU.GE, რომლის საშუალებითაც მათ აქვთ წვდომა, სასწავლო კურსების სილაბუსებსა და სასწავლო განრიგზე, ასევე ამ პლატფორმის მეშვეობით იღებენ სიახლეებს, სემესტრის დასაწყისიდან დასრულებამდე. მათ აქვთ საშუალება თვალი ადევნონ, საკუთარ აკადემიურ მოსწრებას. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის ინფორმაციის მიღებისა და გაცვლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს სოციალური ქსელი, სადაც სპეციალურად შექმნილ ჯგუფებში წევრიანდებიან ისინი და თითქმის ყველა სახის ინფორმაციას იღებენ ზემოაღნიშნული ჯგუფებიდან, სადაც მათთან ერთად ადმინისტრაციის თანამშრომლები და აკადემიური პერსონალია გაწევრიანებული. თუმცა სასურველი იქნებოდა, თუ სასწავლო კურსების წამყვანი აკადემიური პერსონალი სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტებს შესთავაზებდა დარგობრივ კონსულტაციებს, რაც აისახებოდა შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან საუბრისას გაირკვა, რომ უნივერსიტეტი საჭიროებს გამდიერებას, ინტერნაციონალიზაციისა და დასაქმების ხელშეწყობის კუთხით.

ამ ეტაპზე უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის

შესაძლებლობას, თუმცა ეს შეთავაზებები არ არის საკმარისი და კარგი იქნება, ამ მიმართულების გაძლიერება.

ასევე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა სურვილია, სწავლების პროცესში მოხდეს სტაჟირებებისა და დასაქმების ხელშეწყობა სტუდენტის შესაბამისი პროფილის მიხედვით. ზოგადად, სტუდენტები აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტში შექმნილია სტუდენტებისადმი უაღრესად კეთილგანწყობილი გარემო.

თუმცა, სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ გასაუმჯობესებელი მხარეები კიდევ არსებობს და ძირითადად ეს ეხება სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაძლიერებას, ასევე კურსდამთავრებულებთან მჭიდრო კონტაქტს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://sangu.edu.ge/ka>;
- უსდ-ის დასაქმებისა და კარიერული განვითარების სამმართველოს ღონისძიებები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სტუდენტებისთვის სასწავლო კურსების ფარგლებში აკადემიური პერსონალის მრიდან დაიგეგმოს დარგობრივი კონსულტაციები, რაც აისახება ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსში;
- სასურველია, გაიზარდოს გაცვლით პროგრამების რაოდენობა; მოხდეს სტუდენტების აქტიური ჩართვა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში (ხელი შეეწყოს სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებას და მათ შემდგომ ჩართულობას პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ინტერნაციონალიზაციის პროცესებში).
- სასურველია გაძლიერდეს სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მაგისტრანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომელთა სამუშაო აღწერილობა და ფუნქციები დეტალურად აქვს გაწერილი უსდ-ს. წინამდებარე დოკუმენტის მონაცემებით მაგისტრანტის ხელმძღვანელის ფუნქციებში შედის:

1. მაგისტრანტის საკვლევი თემის შერჩევაში და მისთვის მუდმივი სამეცნიერო კონსულტაციის გაწევა;
2. საკონსულტაციო შეხვედრების დაორგანიზება და სამუშაოს დაგეგმვა;

<p>3. კვლევის მასალების შერჩევა, ან შერჩეული და მოძიებული მასალის რევიზია;</p> <p>4. მაგისტრანტის რეკომენდება და კონსულტირება სამეცნიერო კონფერენციებში ჩართვის მიზნით;</p> <p>5. მაგისტრანტისათვის სამეცნიერო გრანტის მოპოვების პროცესში კონსულტირება და ხელშეწყობა.</p> <p>წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში მონაწილე ვიზიტის დროს განხორციელებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით ჩანს, რომ მოცემული სტანდარტის კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. უნივერსიტეტში მოქმედებს სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისა და დაცვის წესი.</p> <p>ინტერვიუებში მონაწილეობა მიიღეს მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებმა. რის შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი არის კვალიფიციური სფეროში, მათ აქვთ შესაბამისი თეორიული ცოდნა და გამოცდილება დარგში, რაც ქმნის იმის წინაპირობას, რომ მათ შესწევთ უნარი გაუწიონ ხელმძღვანელობა სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომების წერის პროცესში.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა ხდება თავად სტუდენტების მიერ და მათ ამ კუთხით სრული თავისუფლება ეძლევათ. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ნაშრომის წერის პროცესი ორივე მხარის კონსტრუქციული თანამშრომლობით მიმდინარეობს, ხელმძღვანელები გარკვეული ინტენსივობით ხვდებიან სტუდენტებს და აძლევენ უკუკავშირს და კონსულტაციას თემატიკებზე.</p> <p>უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებისას გამოვლინდა, რომ დაწესებულებას აქვს პლაგიატის ამომცნობი სისტემა, რომელსაც ხელმძღვანელები იყენებენ ნაშრომების შემოწმებისას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ინტერვიუს შედეგები; ○ ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელების ხელშეკრულების ფორმა და/ან ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი დოკუმენტები (<i>დანართი 06</i>).
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია	მეტწილად	ნაწილობრივ	არ	არის
-----------	-----------------	----------	------------	----	------

	მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა) ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ბაზაზე, რომლის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ჯგუფის დისტანციურად, ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით გამართული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ვადასტურებთ, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა) განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს აკადემიური თანამდებობები დაკავებული აქვთ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - კონკურსის წესით. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, რომელთა კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. კერძოდ, აკადემიური პერსონალის მიმართ უნივერსიტეტს წაყენებული აქვს გარკვეული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალის და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა და რეალური დატვირთვა, მათი საერთო რაოდენობა და დენადობის დაბალი მაჩვენებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, პერსონალზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას და ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობას. ამ ეტაპისთვის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი დარღვეულია გეოგრაფიის მიმართულებით, თუმცა ადმინისტრაციასთან გასაუბრების საფუძველზე ირკვევა, რომ პროგრამის განხორციელების შემდეგ ბალანსი დაცული იქნება. საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირებასა და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მათი კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი განათლებით, მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით. პროგრამის ხელმძღვანელები მონაწილეობენ პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართული იყვნენ პროგრამის განხორციელებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. დარგის სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს თითოეული მაგისტრანტისათვის ისეთი სამეცნიერო ხელმძღვანელის შერჩევას, რომელიც არის თანამედროვე მეთოდოლოგიური და სამეცნიერო ცოდნით აღჭურვილი, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში.

პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო რაოდენობის, შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რეზიუმეები _ CV (*დანართი 5*);
- ინტერვიუ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან;
- საკონკურსო მასალები;
- გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეტანილი განაცხადები;
- აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა და აკადემიური თანამდებობის პირის ინდივიდუალური დატვირთვის მაჩვენებელი;
- აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მომავალში გასათვალისწინებელია აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსის დაცვა, კერძოდ, წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასურველია დაემატოს აკადემიური პერსონალი *გეოგრაფიის მიმართულებით*;
- სასურველია მხარდაჭერის გაფართოება ინტერნაციონალიზაციის საკითხებში აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, კერძოდ, მათი საერთაშორისო ჩართულობის კუთხით როგორც სწავლა-სწავლების, ისე კვლევის კომპონენტში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და აქტუალურ კვლევებში ჩართვის მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის)

შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა) ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და მართვის სხვა სამსახურების ხელშეწყობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერიოდული მონიტორინგის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული პერსონალის, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასების სისტემა. საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის მუშაობის შედეგები გამოიყენება მათი პროფესიული განვითარებისათვის.

უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიულ განვითარებაზე თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლებასა და კვლევაში დანერგვის კუთხით, რაც სხვადასხვა ღონისძიებებთან ერთად გულისხმობს ელექტრონული სწავლების გაძლიერებას.

პერსონალის შეფასების პროცესში გამოიყენება თვითშეფასების ფორმები. ამ სახით აკადემიური პერსონალის შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში, ხოლო მოწვეული პერსონალის შეფასება ხორციელდება სემესტრში ერთხელ, სააუდიტორიო მეცადინეობის დასრულებიდან ორი კვირის ვადაში პერსონალს გადაეცემა თვითშეფასების ფორმა, მოგვიანებით კი ხორციელდება ანალიზი და ყალიბდება სამოქმედო გეგმა. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება ასევე უზრუნველყოფილია სასწავლო კურსების გამოკითხვების ფარგლებში სტუდენტთა შეფასებით. მთლიანობაში შეგროვებული მონაცემები და ვიზიტის შედეგები იძლევა პერსონალის შეფასების და განვითარების გზების დადგენის საშუალებას. პერსონალის შეფასების მარეგულირებელი დოკუმენტები ბოლო პერიოდშია შემუშავებული განახლებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებიდან გამომდინარე. შესაბამისად, ახალი რეგულაციების გათვალისწინებით პერსონალის დაწინაურება და შეფასება ჯერ არ მომხდარა, თუმცა, გასული წლების მანძილზე რეგულარულად ხორციელდებოდა თანამშრომლების მუშაობის შედეგების გათვალისწინებით მათი შეფასება და წახალისება, როგორც ფულადი პრემიების სისტემის, ისე ფასიანი საჩუქრების

გამოყენებით, მადლობის გამოცხადებით და მადლობის სიგელების გადაცემით და სხვა. როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით უნივერსიტეტში პერიოდულად ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის სამეცნიერო კონფერენციებს.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამეცნიერო შრომების კრებულის გამოცემის დაფინანსებას და კონფერენციის მასალების დაბეჭდვას.

უნივერსიტეტში ტარდება სამეცნიერო კონფერენციები უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ჩართულობით. ისინი ასევე მონაწილეობენ სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის რეზიუმეები – CV(დანართი 5);
 - დისტანციური გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და სტუდენტებთან;
 - თვითშეფასების ანგარიში;
 - პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;
 - კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი.

რეკომენდაციები:
წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- პერსონალის ტრენინგების რაოდენობის გაზრდა მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- შეფასება**
- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა) პროგრამა ძირითადად უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს, რაც ასევე ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტი არის საქართველოს ბიბლიოთეკების კონსორციუმის წევრი, რომელიც არის საერთაშორისო კონსორციუმის ELFE-ის წევრი, რომელსაც გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე აქვს წვდომა მონაცემთა ბაზებზე. ასევე, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულ წიგნებზე.

სასწავლო აუდიტორიებში ყველა პერსონალური კომპიუტერი უზრუნველყოფილია ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფით. მათ შორის, სრულად ლიცენზირებულია მაიკროსოფტის ოპერაციული სისტემები და საოფისე პაკეტი;

მეორე სასწავლო კორპუსში ფუნქციონირებს 179 სტუდენტზე გათვლილი საგამოცდო დარბაზი, რომელიც აღჭურვილია მაღალი გარჩევადობის ვიდეო-სამეთვალყურეო აპარატურით და ელექტრონული აღრიცხვის სისტემით;

სასწავლო კორპუსში განთავსებულია 156.72კვ/მ სპორტული დარბაზი და 144 პერსონაზე გათვლილი კვების ობიექტი (კაფეტერია);

უცხოური ენების სწავლებისათვის გამოყოფილი აუდიტორიები ტექნიკურად აღჭურვილია აუდიო ფაილების გამშვები აპარატურით;

უნივერსიტეტის ზემოთ მითითებული მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალისთვის. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა ემსახურება დაახლოებით 2000-მდე სტუდენტს. მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში განვითარებული პანდემიის ფონზე, როდესაც შეიზღუდა სააუდიტორიო მუშაობა, უნივერსიტეტი ერთ-ერთი პირველი უმაღლესი დაწესებულება აღმოჩნდა, რომელიც ეფექტურად გადავიდა ონლაინ დისტანციური სწავლების რეჟიმზე. ამისთვის უნივერსიტეტი იყენებს Google meet-ის პლატფორმას. გამოცდები კი ჩატარდა moodle-ის პლატფორმის მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

<p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველყოფისთვის საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, მათი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსებას, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, სავალდებულო ლიტერატურის და სხვა სასწავლო მასალის შეძენის ხარჯებს. უნივერსიტეტის ბიუჯეტში განსაზღვრულია სკოლის ბიუჯეტი. მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა) ცალკე ბიუჯეტი არ აქვს. დათვლილია პროგრამის სავარაუდო შემოსავალი და გასავალი (კომუნალური და სხვა ხარჯების გათვალისწინებით), რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • უნივერსიტეტის ბიუჯეტი; • დისტანციური გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან; • სკოლის ბიუჯეტი (დანართი 10)
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა

წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს ყველა არსებითი და მნიშვნელოვანი რეგულაცია და წესი. სამსახური ასევე მუშაობს პროცესში ეყრდნობა საერთაშორისო მარეგულირებელ წესებსა და საქართველოში მოქმედ ამოსავალ საკანონმდებლო დოკუმენტებსა და სარეკომენდაციო რეგულაციებს. წინამდებარე მასალებზე დაყრდნობით სამსახური ინსტიტუციური კოლაბორაციის ფორმატში ცდილობს განავითაროს ხარისხის კულტურა სწავლა-სწავლების, კვლევისა და სერვისების მიმართულეები.

ყველაზე მნიშვნელოვანი თანამშრომლობა ცხადად აისახა ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურების კოოპერაციაში, თუმცა წარმატებული შედეგების მისაღწევად მნიშვნელოვანი იქნებოდა წინამდებარე სამსახურების ერთგვარი დისტანცირება, შესაბამისად, სტრატეგიული სამსახური გეგმავს, ხოლო ხარისხის სამსახური მართავს პროცესებსა და პროცედურებს, აკვირდება მათ, აანალიზებს, აყალიბებს და გამოაპირობებს მიღებულ შედეგებსა და გასაუმჯობესებელ სფეროებს, შეიმუშავებს დასკვნებს, რომლის საფუძველზე წარდგენილი მასალების მიხედვით ყალიბდება და იგეგმება ინსტიტუციური განვითარების ახალი სტრატეგიული ეტაპი. სამსახური სამუშაო მეთოდოლოგიას აწყოებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის

„დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ პრინციპებზე, რომლის დროსაც იყენებს ხარისხის ფაქტობრივად ყველა შესაძლო მექანიზმს. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და ამ უკანასკნელის განვითარების პროცესში, ხარისხის სამსახური ასევე ეყრდნობა კონკრეტულ მექანიზმებსა და მეთოდოლოგიას. ამდენად, განმახორციელებელი პირები წინამდებარე პროცესში ითვალისწინებენ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს, მოქმედს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში და ასევე საუნივერსიტეტო რეგულაციებს. წარმოდგენილი ახალი საგანმანათლებლო პროგრამების გაცნობისა და ინტერვიუების შემდგომ დადასტურდა, რომ პროგრამის პორტფოლიოში შემოთავაზებულია საკმაოდ დიდი მასალა დანართი დოკუმენტებისა და მტკიცებულების სახით, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუციამ შეიმუშაოს დოკუმენტების ისეთი პაკეტი, სადაც მაქსიმალურად შესაძლებელი გახდება საგანმანათლებლო პროგრამის ყოველი მნიშვნელოვანი დეტალისა და რუბრიკის სრულყოფილად ამოკითხვა, რაც პირდაპირ უკავშირდება შიდა ხარისხის შეფასების პროცესებს, ანუ გამართული დოკუმენტაცია, ნიშნავს სრულყოფილ ანალიზს.

არსებითად მიგვაჩნია, რომ ყველა ის პროცესი, რაც მიმდინარეობს შიდა ხარისხის უზრუნველსაყოფად მაქსიმალურად უნდა იყოს ინსტიტუციურ დონეზე გაზიარებული. როგორც აკადემიური, ისე მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების მხრიდან. აქედან გამომდინარე სასურველია, თუ ინსტიტუცია პერმანენტულად მოახდენს ზემოხსენებულ პირთა ინფორმირებას და მხარდაჭერას, ხარისხის მიმართულებით სიახლეების დანერგვის თვალსაზრისით.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია (*დანართი 03*)
 - საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (*დანართი 13*);
 - საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შეფასების და განვითარების წესი (*დანართი 04*);
 - ინტერვიუს შედეგები.

- რეკომენდაციები:**
- დაიხვეწოს საგანმანათლებლო პროგრამის წარსადგენი დოკუმენტების (პროგრამის სასწავლო გეგმის, სილაბუსი) ფორმალური მხარე (მათში გაიწეროს ყველა მნიშვნელოვანი რუბრიკა) და პორტფოლიო;

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- სასურველია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები გაზიარებული იყოს ინსტიტუციურ დონეზე პერმანენტულად და დეტალურად, რისთვისაც გამოყენებული იქნება ინტერაქციული ვორკშოპები, ტრენინგები და ა.შ.

- საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**
- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**
- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- შეფასება**
- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს გამოცდილება გარე ხარისხის შეფასების პროცესების მართვის, რაც დასტურდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არაერთი აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების არსებობით. გარე ხარისხის შეფასებით მიღებული შედეგები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანალიზის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარების პროცესს ედება საფუძვლად.

პროგრამის შემუშავების პროცესში განმახორციელებელმა პერსონალმა აქტიურად გამოიყენა ბაზრის კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები. ბაზრის კვლევაში ჩართულ პირთა სპექტრი იყო ფართო და მეთოდოლოგიურად შერჩეული. ასევე ეტაპობრივად დაგეგმილია უსდ-ს მიერ შრომის ბაზრის კვლევის არეალის სრულიად საქართველოს მასშტაბით გაფართოება.

გამომდინარე იქიდან, რომ წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამა ახალი შემუშავებულია, მისი გარე შეფასება მოხდა მინიმალურად (დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა მიერ), რაც დასტურდება ინტერვიუებითაც. სასურველია, თუ შემდგომში ინსტიტუცია იზრუნებს საგანმანათლებლო პროგრამის გარე კოლეგიურ შეფასებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (*დანართი 1*);
- ბაზრის კვლევის შედეგები (*დანართი 07*);
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ პირებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, თუ შემდგომში ინსტიტუცია იზრუნებს საგანმანათლებლო პროგრამის გარე კოლეგიურ შეფასებაზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი, პერიოდული შეფასება, რომლის შედეგად მიღებული მასალები ანალიზდება და მისი ასახვა ხდება საუნივერსიტეტო თვითშეფასების ფორმაში.

წინამდებარე პროგრამის სრულყოფილი მონიტორინგი, ამ ეტაპზე ვერ განხორციელდებოდა, ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამა ახალშემუშავებულია და ჯერ კიდევ მისი ჩამოყალიბება ხდება შიდა ხარისხის შეფასების ცალკეული მექანიზმების მეშვეობით.

რაც შეეხება საკუთრივ მონიტორინგის სისტემას, უსდ-ს წარმოდგენილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობის პროცესში მონიტორინგის სისტემის მინიმალური მექანიზმების ჩართულობა (როგორცაა, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების გამოკითხვა).

ექსპერტთა მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ სასურველია გაფართოვდეს იმ მექანიზმების დახვეწა და შევსება, რაც საგანმანათლებლო პროგრამაზე პერიოდულად დაკვირვების და შემდგომ სათანადო რეაგირების საშუალებას იძლევა. ასევე მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურმა საუნივერსიტეტო სივრცისთვის შეიმუშაოს კონკრეტული მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი, მათი შემდგომი გაუმჯობესებისა და სტანდარტებთან მოყვანის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (*დანართი 1*);
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ✓ ხარისხის მონიტორინგის მექანიზმის გაუმჯობესება, სტუდენტების მიერ ელექტრონული კითხვარების მეშვეობით სასწავლო კურსებისა და პედაგოგების შეფასება (სასურველია სტუდენტებისათვის სავალდებულო გახდეს შესაფასებლად წარდგენილი თითოეული სასწავლო კურსისა და ლექტორის სასწავლო საქმიანობის შეფასების კითხვარის შევსება).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა), II საფეხური

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 36 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნინო ქიმერიძე *ნ. ქიმერიძე*

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნოდარ ფოფორაძე *ნ. ფოფორაძე*

თეიმურაზ პაპასქირი *თ. პაპასქირი*

ქეთევან თოდაძე *ქეთევან თოდაძე*

სოფიკო შარაბიძე *ს. შარაბიძე*